ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
GEO 02-058/22

ქ. თბილისი **2 მარტი 2022 წელი**

ერთის მხრივ (შემსყიდველი): **სსიპ „იუსტიციის სახლი“**
წარმოდგენილი ფინანსების დირექტორი ავთანდილ კოხრეიძეს სახით,
საიდენტიფიკაციო კოდი: **204 580 202**
მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ.№2
მიმღები: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
სახაზინო კოდი: 707467520

მეორეს მხრივ (მიმწოდებელი): **შპს „ჰიუნდაი ავტო საქართველო“**
წარმოდგენილი: მისი დირექტორის დავით გიორგობიანის სახით
საიდენტიფიკაციო კოდი: **204 478 948**
მისამართი: დ.აღმაშენებლის ხეივანი მე 12 კმ
ბანკის დასახელება: თიბისი ბანკი
ბანკის კოდი:TBCBGE22
IBAN: GE96 TB06 0000 0360 2001 82

HYUNDAI AVTO GEORGIA JSC
Digitally signed by HYUNDAI AVTO GEORGIA JSC
Date: 2022.03.02 17:01:21 +04'00'

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტი:

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ „იუსტიციის სახლის“ საჭიროებისათის:

- **<u>ავტომობილის HYUNDAI SONATA-ს (სახ.ნომ. FF-011-KK) რადიატორის შეცვლის თანდმდევი მომსახურებით (მონტაჟით და ექსპლუატაციაში გაშვებით) შესყიდვა.</u>**
- **CPV კოდი: 34330000 - სატვირთო ავტომანქანების, ფურგონებისა და მსუბუქი მანქანების სათადარიგო ნაწილები.**

2.2. გასაწევი მომსახურების აღწერილობა და მოცულობა განისაზღვრება ხელშეკრულების **დანართი N1-ის** შესაბამისად, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **<u>610.00 (ექვსას ათი ლარი და 00 თეთრი) ლარს.</u>**

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მოწოდებასთან, მონტაჟთან და ექსპლუატაციაში გაშვებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს, მათ შორის, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს **<u>(დღგ-ს გათვალისწინებით).</u>**

3.3. მოსაწოდებელი შესყიდვის ობიექტის ერთეულის და საერთო ფასი მოცემულია ხელშეკრულების **დანართში №1,** რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს **შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში, არაუგვიანეს 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს **მიმწოდებლის სერვისცენტში**.

5. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები:

5.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, უნაღდო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალუტაში – ლარში, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში) საფუძველზე, დოკუმენტების სრულყოფილად გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5.2. დაფინანსების წყარო: **<u>სსიპ „იუსტიციის სახლისთვის“ 2022 წლის საქართველოს ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.</u>**

5.3. წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს სსიპ „იუსტიციის სახლის“ ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ლოჯისტიკის სამსახური.

6.2. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, აწარმოოს მოწოდებული შესყიდვის ობიექტის ხარისხის და რაოდენობის ინსპექტირება ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება ჩაბარების წესი:

7.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით.

7.2. მომსახურების გაწევის შემდეგ, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად, ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირ(ებ)ის მიერ შედგენილი ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით თვის განმავლობაში ფაქტიურად გაწეულ მომსახურებაზე გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

8. მხარეთა ვალდებულებები

8.1 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

8.1.1. ხელი შეუწყოს შემსყიდველს ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განხორციელებისას და უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი წუნის აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით, ასეთი წუნის აღმოჩენიდან გონივრულ ვადაში.

8.1.2. მომსახურების გაწევისას დაიცვას უსაფრთხოების ნორმები.

8.1.3. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

8.2 „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია მოითხოვოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

8.3 „შემსყიდველი“ ვალდებულია:

8.3.1 უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

8.3.2 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

8.4 შემსყიდველი უფლებამოსილია უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე.

8.5 მხარეები უფლებამოსილნი არიან განახორციელონ ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა. ვალდებულებათა გაქვითვა შესაძლებელია მაშინაც, როცა ერთ-ერთი მოთხოვნის შესრულების ვადა ჯერ არ დამდგარა, მაგრამ ამ მოთხოვნის უფლების მქონე მხარს უჭერს გაქვითვას. ვალდებულებათა გაქვითვა ხორციელდება მეორე მხარისათვის შეტყობინებით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. მომსახურების გაწევის პროცესში შემსყიდველისთვის ან/და მესამე პირისთვის მიყენებული (მ/შ გაუფრთხილებლობით) ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სრულად, საკუთარი ხარჯით; აღნიშნული ზიანის წარმოშობის შემთხვევაში, ზიანის აღმოფხვრა უნდა განხორციელდეს შემსყიდველთან შეთანხმებულ გონივრულ ვადაში.

9.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს შესაძლოა დაეკისროს პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

9.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს შესაძლოა დაეკისროს პირგასამტეხლო, ხელშეკრულების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.

9.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ნაწილობრივი შესრულების ან არაჯეროვანი შესრულების მიზეზით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს დააკისროს პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით.

9.5. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ვადების გადაცდენისათვის ან/და არაჯეროვანი შესრულებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.6. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ცვლილება დაიშვება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების თავდაპირველი ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია 10%–ზე მეტი ოდენობით;

10.4. თუ მხარე ჯეროვნად ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, მეორე მხარე უფლებამოსილია გავიდეს ხელშეკრულებიდან მის მიერ განსაზღვრული გონივრული დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ, ხელშეკრულების პირობების დამრღვევი მხარისთვის წერილობითი შეტყობინებით;

10.5. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი ურთიერთშეთანხმებით, წინამდებარე ხელშეკრულებით ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში;

11. ხელშეკრულების შესრულების შეუძლებლობა

11.1. ხელშეკრულების დამდები მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს მხარის პასუხისმგებლობას თუ ხელშეკრულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება გამოწვეულია შესრულების შეუძლებლობით (ფორს-მაჟორი);

11.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის შესრულების შეუძლებლობად (ფორს-მაჟორი) მიიჩნევა მხარეებისათვის წინასწარ უცნობი, გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი გარემოებები. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე მეორე მხარისაგან გონივრულ ვადაში არ მიიღებს წერილობით პასუხს, იგი ვალდებულია გააგრძელოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შესაძლებლობის ფარგლებში, შექმნილი გარემოებების გათვალისწინებით;

11.4. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული გარემოებების მოქმედების დასრულებისთანავე.

12. გარანტია

12.1. შესყიდვის ობიექტზე უნდა ვრცელდებოდეს გარანტია შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან არანაკლებ 3 (სამი) თვის განმავლობაში.

12.2. შემსყიდველის მხრიდან შესყიდვის ობიექტის ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელმა საკუთარი ხარჯებით უნდა აღმოფხვრას ექსპლუატაციის პროცესში გამოვლენილი ნებისმიერი ხარვეზი/წუნი (ტრანსპორტირების ჩათვლით), საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს წუნდებული შესყიდვის ობიექტის შეცვლა/შეკეთება, ასეთი ხარვეზის/წუნის გამოვლენიდან შემსყიდველთან შეთანხმებულ გონივრულ ვადაში (მაგრამ არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა).

12.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების 12.2 პუნქტში მითითებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას ექსპლუატაციის პროცესში გამოვლენილი დეფექტები და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების სრულად ანაზღაურება.

12.4. საგარანტიო პერიოდის განმავლობაში, ექსპლუატაციის პირობების დაცვის შემთხვევაში, დეფექტის ან/და ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებული იქნება გამოვლენილი დეფექტი გამოასწოროს შემსყიდველთან შეთანხმებულ ვადაში თავისი ხარჯებით, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დანახარჯის გაწევის გარეშე.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულება დადებულია და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

13.2. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება მორიგებით;

13.3. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ თბილისის საქალაქო სასამართლოს.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს: ხელშეკრულების მე-9 მუხლი მოქმედებს ხელშეკრულების ფარგლებში მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების საბოლოო შესრულებამდე, ხოლო ყველა სხვა ნაწილში ხელშეკრულება მოქმედებს **2023 წლის 31 იანვრის** ჩათვლით.

ხელმოწერილია:
ხელშეკრულება და ხელშეკრულების დანართები ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით.

ვიზირებულია:
სსიპ „იუსტიციის სახლის“ შესყიდვების სამსახურის მრჩევლის მიერ.
სსიპ „იუსტიციის სახლის“ ადმინისტრაციისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის მრჩევლის მიერ.

ფასების ცხრილი

შესყიდვის ობიექტის დასახელება	შესყიდვის ობიექტის აღწერილობა	CPV კოდი	განზომილება	რაოდენობა	ღრებულება ₾	სულ ₾
HYUNDAI SONATA-ს რადიატორის	რადიატორის შეცვლა თანდმდევი მომსახურებით მონტაჟით და ექსპლუატაციაში გაშვებით	34330000 - სატვირთო ავტომანქანების, ფურგონებისა და მსუბუქი მანქანების სათადარიგო ნაწილები.	კომპლექტი	1	610.00	610.00

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი **2 მარტი 2022 წელი**

ჩვენ, წინამდებარე დოკუმენტზე ხელმომწერი პირები ვადასტურებთ, რომ **შპს „ჰიუნდაი ავტო საქართველო“**მიმართ სრულად ვაკმაყოფილებთ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლით დადგენილ, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

ავთანდილ კოხრეიძე
სსიპ „იუსტიციის სახლის“ ფინანსების დირექტორი

შალვა ჯულაყიძე
სსიპ „იუსტიციის სახლის“ შესყიდვების სამსახურის უფროსი

თიკა ნებიერიძე
სსიპ „იუსტიციის სახლის“ ადმინისტრაციისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

ანდრო მეტრეველი
სსიპ „იუსტიციის სახლის“ შესყიდვების სამსახურის მრჩევლი